

ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის ანგარიში

თურქული სააქციო საზოგადოების
მიტამ ენერჯი ვე მადენი
ინშაათ იმლურის საქართველოს
ფილიალი

31 დეკემბერი 2024

სარჩევი

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპლაციაზე	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	7
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე

შპს თურქული სააქციო საზოგადოების მითამ ენერჯი ვე მადენი ინშაათ იმლერის საქართველოს ფილიალი'-ს
დამფუძნებელს

ჩვენ შევადგინეთ თურქული სააქციო საზოგადოების მითამ ენერჯი ვე მადენი ინშაათ იმლერის საქართველოს
ფილიალი-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.
ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური
მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში
ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს)
4410-ის (გადასინჯული) – „კომპილაციური გარიგებები“ – შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და
გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში,
მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს
ფასს). ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული
კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და
სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული
ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და
სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას
იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

პაატა შურდია

მმართველი პარტნიორი

თბილისი, საქართველო

01 ოქტომბერი 2025



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	395,039	356,954	225,584
სახელმწიფო აქტივები		11,411,821	4,429,535	4,825
		11,806,859	4,786,489	230,409
მიმდინარე აქტივები				
გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		125,550	79,983	105,384
გადავადებული აქტივები		1,761,872	1,916,315	-
მარაგები		2,748	660	10,795
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	2,469,573	610,610	76,421
წინასწარ გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტში		275,321	495,369	347,093
ფული და ფულის ექვივალენტები	6	262,100	304,555	99,079
		4,897,164	3,407,492	638,772
სულ აქტივები		16,704,024	8,193,981	869,181
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები		9,017,047	436,769	160,050
აკუმულირებული ზარალი		(2,186,623)	(934,329)	(1,779,766)
		6,830,424	(497,560)	(1,619,716)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები		4,108,735	5,284,888	1,980,749
სახელმწიფო ვალდებულება		4,108,735	5,284,888	1,980,749
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები		-	281,566	356,670
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		23,645	40,477	28,500
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	1,572,797	533,620	35,987
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან		4,168,423	2,550,990	86,992
		5,764,865	3,406,653	508,148
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,704,024	8,193,981	869,181

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 01 ოქტომბერი:

ბარიშ ელბაშიძე
დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (9-18 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგება და კომპლაციის ანგარიში

თურქული საექსპორტო საზოგადოების შტაბ-კვარტერი ვე მადენი
ინშაათ იმლურის საქართველოს ფილიალი
31 დეკემბერი 2024

მოგება-ზარალისა და სხვა სრული
შემოსავლების ანგარიშგება

ლარი	მენიშვნები	2024 წლის	2023 წლის	2022 წლის
		31 დეკემბერი	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	10,160,048	4,383,476	1,435,123
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(10,197,131)	(2,797,939)	(2,048,870)
მთლიანი მოგება		(37,083)	1,585,537	(613,747)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	579	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(648,301)	(455,509)	(515,965)
ცვეთა		(14,459)	(11,516)	(4,132)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(357,080)	(87,411)	(95,287)
საოპერაციო მოგება/ზარალი		(1,056,923)	1,031,680	(1,229,131)
მოგება/ზარალი გაცვლითი კურსის სხვაობიდან		(195,371)	(186,243)	(95,488)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(1,252,294)	845,437	(1,324,619)
მოგების გადასახადი		-	-	-
წლის წმინდა მოგება/ზარალი		(1,252,294)	845,437	(1,324,619)
შემოსავალი რეალიზაციიდან		(1,252,294)	845,437	(1,324,619)
ბარიშ ელბაშიოლლუ დირექტორი				



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული მენიშვნებთან (9-18 გვერდებზე)
ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების
ანგარიშგება

ლარი	აკუმულირებული მოგება	კაპიტალი და რეზერვები	სულ კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	(455,147)	-	(455,147)
მოგება პერიოდის ბოლოს	(1,324,619)	160,050	(1,324,619)
წლის განმავლობაში მიღებული სრული მოგება	(1,324,619)	160,050	(1,164,569)
2022 წლის 31 დეკემბერი	(1,779,766)	160,050	(1,619,716)
მოგება პერიოდის ბოლოს	845,437	276,719	845,437
წლის განმავლობაში მიღებული სრული მოგება	845,437	276,719	1,122,156
2023 წლის 31 დეკემბერი	(934,329)	436,769	(497,560)
მოგება პერიოდის ბოლოს	(1,252,294)	8,580,278	(1,252,294)
წლის განმავლობაში მიღებული სრული მოგება	(1,252,294)	8,580,278	7,327,984
2024 წლის 31 დეკემბერი	(2,186,623)	9,017,047	6,830,424

ბარიშ ელბაშიოდლუ
დირექტორი



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (9-18 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,252,294)	845,437	(1,324,619)
წლის მოგება მოგების გადასახდამდე კორექტირებები:	73,521	38,841	19,174
ცვეთა და ამორტიზაცია	195,371	186,243	95,488
წმინდა საკურსო სხვაობა	(983,402)	1,070,521	(1,209,956)
საოპერაციო შედეგები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	(1,252,294)	845,437	(1,324,619)
ცვლილება სახელშეკრულებო აქტივებში	(6,982,286)	(4,424,710)	1,098,238
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1,858,963)	(534,189)	(40,134)
ცვლილება გაცემული ავანსებსა და დარიცხულ მისაღებ შემოსავლებს შორის	174,481	(122,875)	(20,715)
ცვლილება გადავადებული აქტივში	154,443	(1,916,315)	-
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,617,433	2,463,999	86,992
დაკავშირებულ მხარესთან	1,039,177	497,633	27,731
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	(16,832)	11,977	28,500
ცვლილება გადასახდელ ხელფასებში	(281,566)	(75,104)	356,670
ცვლილება მიღებულ ავანსებში	(1,176,153)	3,304,139	(177,043)
ცვლილება სახელშეკრულებო ვალდებულებებში	(2,088)	10,135	(10,017)
ცვლილება ინვენტარში			
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(8,315,755)	285,212	140,265
გადახდილი პროცენტები	-	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(8,315,755)	285,212	140,265
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ფული	(129,612)	(170,211)	(235,445)
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ფული	18,006	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(111,606)	(170,211)	(235,445)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ცვლილება კაპიტალი და რეზერვებში	8,580,278	276,719	160,050
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	8,580,278	276,719	160,050
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება	152,916	391,720	64,870
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	304,555	99,079	129,697
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება	(195,371)	(186,243)	(95,488)
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	262,100	304,555	99,079
ბარიშ ელბამიოდ			
დირექტორი			



ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის ანგარიში

თურქული სააქციო საზოგადოების მითამ ენერჯი ჯე მადენი
ინშაათ იმლერის საქართველოს ფილიალი
31 დეკემბერი 2024



ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (9-18 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

თურქული სააქციო საზოგადოების მითამ ენერჯი ვე მადენი ინშაათ იშლერის საქართველოს ფილიალი („კომპანია“) დაარსდა 2021 წლის 17 ივნისს, როგორც უცხოური საწარმოს ფილიალი (წარმომადგენლობა) (რეგისტრაციისა და საგადასახადო ID: 402187370; რეგისტრირებული თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ) საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და მდებარეობს საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, მიხეილ ჭიაურელის ქუჩის გასასვლელი, N11-ში.

თურქული სააქციო საზოგადოების მითამ ენერჯი ვე მადენი ინშაათ იშლერის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გამანაწილებელი ობიექტების მშენებლობა ელექტროენერგიით და ტელეკომუნიკაციებით უზრუნველსაყოფად. დღეის მდგომარეობით თურქული სააქციო საზოგადოების „მითამ ენერჯი მადენი ვე ინშაათ იშლერის“ საქართველოს ფილიალი საქართველოში ოპერირებს, სააქციო საზოგადოება „საქართველოს ელექტრო სისტემის“ მიერ გამოცხადებული ორი ტენდერის LOT-2 და LOT-5 ის, შესაბამისად კონტრაქტებისა, KfW/DSI/OHL-TD-Lot 2 და KfW/DSI/OHL-Lot 5 მიხედვით. LOT-5 მოიაზრებს ქალაქ ოზურგეთიდან ზოტის ჰიდროელექტრო სადგურამდე, განახორციელოს 110 კვ გამტარობის ელექტრო მაგისტრალის მშენებლობა. ხოლო LOT-2, თელავი, სტორის ჰიდროელექტრო სადგურიდან იყალთოს მიმართულებით 110 კვ გამტარობის ელექტრო მაგისტრალის მშენებლობა. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ფილიალის ძირითადი დანიშნულებაა რომ განახორციელოს სს „საქართველოს ელექტრო სისტემისთვის“ მიწოდებული სამშენებლო მასალებითა და პროექტირებული ნახაზების მიხედვით განახორციელოს მშენებლობა, გასწიოს სამშენებლო მომსახურება.

თურქული სააქციო საზოგადოების მითამ ენერჯი ვე მადენი ინშაათ იშლერის საქართველო წარმოადგენს სააქციო საზოგადოება მითამ ენერჯი ვე მადენი ინშაათ იშლერის (6146 /თურქეთი) წარმომადგენლობას საქართველოში.

ხელმძღვანელები / ოფიციალური წარმომადგენლები

- დირექტორი - ბარიშ ელბაშიოდლუ

2024 წელს კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 15 თანამშრომელია.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ („ბასს“). ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია საქმიანობს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდისა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-8 მენიშვნაში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9306 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი და ერთი ევრო 2.9753 ლარი).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალ-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწევისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდგენილია:

ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავჯი და ინვენტარი	5 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
კონტეინერები	10 წელი

3.3 წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდა აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა ეხება აქტივს, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მიიღება საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარ გადახდასთან. თუ არსებობს მითითება, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარებულია წლის მოგება-ზარალში.

3.4 ფული და ფულის ექვივალენტები

ნაღდი და საბანკო ნაშთები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებს.

2024 წლის ბოლოს კომპანიის სალაროში არის 1,843 ლარი, ხოლო საბანკო ანგარიშზე ლარის ანგარიშზე 7,645 ლარი, რაც შეეხება დოლარის ანგარიშზე ექვივალენტი ლარში არის 252,612 ლარი.

3.5 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს აქციონერის შენატანებს კომპანიის წესდებაში. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლის მიერ. კომპანიის კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

აკუმულირებული ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ ზარალს.

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადებულია.

უცხოური საწარმოს ფილიალი, პერიოდულად იღებს დაფინანსებას დედა კომპანიისგან, ხარჯების ასანაზღაურებლად. 2023 წლის ბოლო მიღებული დაფინანსება შეადგენდა 436,769 ლარს, ხოლო 2024 წლის ბოლოს 9,017,047 ლარს.

3.6 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85.

2017 წელს და შემდგომში გადახდილი ნებისმიერი დივიდენდის გადასახადის გადახდისათვის, 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან, საგადასახადო კრედიტი ხელმისაწვდომია კორპორაციული საშემოსავლო გადასახადისთვის, რომელიც გადახდილია წინა მოდელის მიხედვით გადანაწილებულ მოგებაზე.

კორპორატიული შემოსავლების დაბეგვრის ამჟამინდელი კონცეფციის თანახმად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს და მათ საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი განსხვავებები არ არსებობს. ამრიგად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 საშემოსავლო გადასახადი, არ ფორმირდება 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ.

3.7 თანამშრომელთა სარგებელი

მოკლევადიანი თანამშრომლის სარგებელი არის სარგებელი, რომელიც მოსალოდნელია სრულად დაფარული წლიური საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან თორმეტ თვემდე, რომელშიც თანამშრომლები გაწვევენ შესაბამის მომსახურებას და მოიცავს:

- ჯილდოებს, ხელფასებსა და ბონუსებს
- ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი;

როდესაც თანამშრომლები მომსახურებას უწევენ კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანია აღიარებს თანამშრომლების მოკლევადიანი სარგებლის არაპროგნოზირებულ თანხას, რომელიც მოსალოდნელია გადაიხადოს ამ მომსახურების სანაცვლოდ:

- როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი), უკვე გადახდილი თანხის გამოქვითვის შემდეგ. თუ უკვე გადახდილია თანხა გადააქარბებს სარგებლის არა დისკონტირებულ რაოდენობას, კომპანიამ უნდა აღიაროს ეს ქარბი აქტივი (წინასწარ გადახდილი ხარჯი) იმდენად, რამდენადაც წინასწარი გადახდა გამოიწვევს მომავალი გადახდების შემცირებას ან ფულად ანაზღაურებას.
- ხარჯის სახით, თუ თანხა არ შედის აქტივის ღირებულებაში.

კომპანიას საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დაქირავებული ყავს მუდმივი თანამშრომლები, ასევე, არარეზიდენტი თანამშრომლები თურქეთიდან, რომლებიც მუშაობენ აღნიშნულ პროექტზე.

2024 წლის ბოლოს კომპანიის მიერ თანამშრომლებისთვის გადახდილი სარგებლის ჯამურმა თანხამ შეადგინა 1,251,529 ლარი.

3.8 შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას ან მისაღებ საქონელს.

შემოსავალი ნაჩვენებია გაყიდვების/დამატებული ღირებულების გადასახადის, შემოსავლების, ფასდაკლებებისა და ფასდაკლებების გარეშე და ჯგუფში გაყიდვების აღმოფხვრის შემდეგ.

თურქული სააქციო საზოგადოების „მითამ ენერჯი მადენი ვე ინშაათ იმლერის“ საქართველოს შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ოზურგეთისა და კახეთის პროექტები. შესაბამისად კონტრაქტებისა, KfW/DSI/OHL-TD-Lot 2 და KfW/DSI/OHL-Lot 5 მიხედვით. LOT-2 მოიაზრებს ქალაქ ოზურგეთიდან ზოტის ჰიდროელექტრო სადგურამდე, განახორციელოს 110 კვ გამტარობის ელექტრო მაგისტრალის მშენებლობა. ხოლო LOT-5, თელავი, სტორის ჰიდროელექტრო სადგურიდან იყალთოს მიმართულებით 110 კვ გამტარობის ელექტრო მაგისტრალის მშენებლობა. ხელშეკრულების მიხედვით კონტრაქტი დაყოფილი არის 5 ეტაპად.

გრაფიკი	აღწერა
გრაფიკი 1	საზღვარგარეთიდან მოწოდებული ქარხნული და სავალდებულო სათადარიგო ნაწილები
გრაფიკი 2	დამსაქმებლის ქვეყნიდან მოწოდებული ქარხნული და სავალდებულო სათადარიგო ნაწილები
გრაფიკი 3	დიზაინის სერვისები
გრაფიკი 4	მონტაჟი და სხვა მომსახურება
გრაფიკი 5	ESHS მოთხოვნები

ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე პროექტის ღირებულების 10% მიღებული არის სრულად, პროექტის დასაწყისში, რომელიც აღრიცხული არის როგორც გადავადებული შემოსავალი. ყოველი სამუშაოს შესრულების შემდგომ იწერება რეალიზაციის ინვოისი, რომლის მიხედვითაც 15% რეტენშენი არის პროექტის დასრულებამდე, 10% მიღებული ავანსიდან წყვილდება, ხოლო დარჩენილი 75%-ს საქართველოს ელექტრო სისტემები ურიცხავენ კომპანიას.

შემოსავალი აღრიცხული არის პროექტების მიხედვით. ასევე, პროექტის შინაარსიდან გამომდინარე, სათაოს თანამშრომლები მუშაობენ ქართულ პროექტზე, შესაბამისად მათთვის გადახდილი ხელფასის სამშრომლო თანხა სრულად არის ანაზღაურებული GSE-ის მიერ. ყოველთვიურად იწერება ფაქტურა, სამშრომლო თანხას დამატებული 18%. Lot 5-ი პროექტის ფარგლებში, კომპანიამ დაიქირავა ქვე-კონტრაქტორი სს „ენერგონი“, რომელიც ძირითადი სამუშაოების შესრულებაში იღებს მონაწილეობას. სამუშაოების შესრულების დროს, სამშენებლო მოედანზე მითამის წარმომადგენელი გაუწევს ზედამხედველობას ენერგონის გუნდს, შესაბამისად ყოველთვიურად იწერება საზედამხედველო მომსახურების ფაქტურა ქვე-კონტრაქტორი ენერგონის მიმართ. ყოველთვიურად 8000 ევროს დღგ-ს გარეშე, ექვივალენტი ლარში, ყოველი თვის ბოლო დღის კურსით.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება					
2022 წლის 31 დეკემბერი	958	6,759	55,565	181,998	245,279
დამატებითი შესყიდვები	43,871	18,441	50,588	54,230	167,130
2023 წლის 31 დეკემბერი	44,828	25,201	106,153	236,228	412,409
დამატებითი შესყიდვები	4,034	1,820	-	131,917	137,771
რეალიზაცია	2,523	4,280	4,713	32,656	44,171
2024 წლის 31 დეკემბერი	46,721	24,486	102,395	335,489	509,090
დაგროვილი ცვეთა					
2022 წლის 31 დეკემბერი	319	1,112	4,486	13,778	19,695
ცვეთა	4,465	3,650	11,516	19,211	38,841
2023 წლის 31 დეკემბერი	4,784	4,762	16,002	32,989	58,536
ცვეთა	14,736	8,427	14,459	35,900	73,521
რეალიზ. ძირ. საშ. დაგროვილი ცვეთა 2024	2,523	4,280	4,713	6,490	18,005
2024 წლის 31 დეკემბერი	16,996	8,909	25,748	62,398	114,052
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2022 წლის 31 დეკემბერი	639	5,647	51,079	168,220	225,584
2023 წლის 31 დეკემბერი	40,045	20,439	90,151	203,239	353,873
2024 წლის 31 დეკემბერი	29,724	15,577	76,647	273,091	395,039

5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	2,469,573	610,610	76,421
სხვა მოთხოვნები	-	-	-
	2,469,573	610,610	76,421

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიიჩნევა სამართლიანი ღირებულების გონივრულ მიახლოებად.

6 ფული და ფულის ექვივალენტები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფული საბანკო ანგარიშებზე	260,257	296,248	96,036
ნაღდი ფული	1,843	8,306	3,043
	262,100	304,555	99,079

ვალუტები, რომლებშიც ბანკის ნაშთებია დენომინირებული, იხილეთ ქვემოთ მოცემული შენიშვნა:

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ლარი	9,488	221,246	9,662
აშშ დოლარი	252,612	-	-
ევრო	-	83,308	89,416
თურქული ლირა	-	-	-
	262,100	304,555	99,079

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანია იყენებს საბანკო ანგარიშებთან ერთად სალაროს, რომელიც ყოველთვის კონტროლდება და მზადდება შესაბამისი ყველა დოკუმენტი.

7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები საწარმოს მიმართ	839,938	493,485	24,225
ფიზიკური პირები	5,477	-	125
არარეზიდენტები	714,340.51	40,134	6,801
ინდივიდუალური მეწარმეები	13,041	-	4,836
	1,572,797	533,620	35,987

8 შემოსავალი

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
პირადი საშემოსავლო გადასახადის ანაზღაურება	137,442	80,408	-
LOT2 – Onshore მომსახურება	-	3,309,344	-
LOT5 - ENGY-MIT-LOT5-SA-20231030-0001 - Article 34.3 - Onshore	338,785	47,618	-
მომსახურება	-	946,106	1,435,123

LOT2 - Offshore მომსახურება	7,405,026	-	-
LOT5 - Offshore მომსახურება	2,195,002	-	-
LOT-5	83,792	-	-
	<u>10,160,048</u>	<u>4,383,476</u>	<u>1,435,123</u>

9 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ცვეთა და ამორტიზაცია	59,062	27,325	15,042
კვლევითი სამუშაოების ხარჯი	-	-	15,562
დამსაქმებლის დაზღვევის პასუხისმგებლობის პოლისი EL0167/21	-	5,521	9,199
სხვა მომსახურება	1,148,453	314,941	116,224
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი (7100)	-	-	17,445
სატრანსპორტო ხარჯი	-	-	30
ტრაქტორის ხარჯები	35,177	1,780	49,780
ექსკავატორის ხარჯები	167,124	26,107	7,650
გათხრების სამუშაოების ხარჯები	-	-	8,600
შედულების ხარჯები	-	-	1,130
ბეტონის მიღების ტრანსპორტირება	32,100	-	5,794
გეოლოგიური მომსახურების ხარჯები	24,310	63,448	447,353
მეტეოროლოგიური მომსახურება	-	-	517
ბულდოზერის ტრანსპორტირება	-	-	4,068
ბიომრავალფეროვნების კვლევის ხარჯები	43,043	8,388	15,458
სატყეო მეურნეობის დაბეგვრის ხარჯები	-	32,203	79,564
ლაბორატორიული ხარჯები	9,320	12,753	16,115
რისკების დაზღვევა EAR0313/21	34,894	22,207	23,441
CARGO დაზღვევა CL0220/21	-	4,302	7,164
მენეჯმენტის მომსახურების ხარჯი TR HQ	-	464,325	440,305
მარაგების კორექტირება	76,239	65,765	104,576
ტექნიკური შემოწმების ხარჯები	20,962	698	5,424
ტრანსპორტირების ხარჯები (7300)	135,294	1,552	32,818
შრომის კომპენსაცია_ოპერაციული	1,040,343	638,379	538,562
ექსკავატორის გაქირავება	256,962	30,508	36,305
ბულდოზერის გაქირავება	-	55,763	30,508
სუფუკი გრანდ ვიტარა (EE99500) შავი, 2010	-	-	1,174
მანქანის ქირავნობის ხარჯი	81,172	10,530	18,680
შემენილი გაყიდული საქონელი	-	475,594	383
საბაჟო საბროკერო ხარჯები	32,258	14,674	-
ტრანსპორტირების ხარჯები (7100)	265,860	56,187	-
საწვავის ხარჯები (7100 - დიზელი)	403,638	50,081	-
ბურღვითი სამუშაოების ხარჯები	-	8,250	-
მძიმე ტექნიკის იჯარის ხარჯები	-	26,346	-
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (7100)	533,899	246,790	-
01 რისკის დაზღვევა EAR 0313/-21-5	18,803	7,668	-
„CARGO დაზღვევა CL0397/23“	10,782	4,674	-
„დამსაქმებლის დაზღვევა EL0200/23“	9,000	2,797	-
შემენილი საქონელი, დაბრუნება და ფასდაკლება	-	710	-

ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის ანგარიში

თურქული სააქციო საზოგადოების მითამ ენერჯი ჯე მადენი
ინშაათ იმლურის საქართველოს ფილიალი
31 დეკემბერი 2024 16

მიწის იჯარა	68,900	57,500	-
მძიმე ტექნიკის იჯარა	1,048,865	60,171	-
Lot 2- Energyline CONT.D 18.07.2024 7145A07/OHL-TD-LOT2/MTS/2022/026	635,815	-	-
Lot -2 Energony_LOT 2 7145A07OHL-TD- LOT2MTS2022024	1,019,310	-	-
Lot 2- Energyline CONT.D 25.03.2024 7145A07/OHL-TD-LOT2/MTS/2022/026	122,615	-	-
Lot 5 - Energoni CONT.D 30.10.2024 ENGY-MIT- LOT5-SA-20231030-0001	1,255,916	-	-
Lot - 2 ტრანსპორტირების მოვლა-პატრონობის ხარჯები	6,777	-	-
Lot-2 ადგილზე კვების ხარჯები	11,039	-	-
Lot_2 სხვა საოპერაციო ხარჯები	52,883	-	-
გარე კვების სერვისები	25,262	-	-
სამუშაო მასალის ხარჯები	4,742	-	-
მშენებლობის ხარჯები	1,378	-	-
LOT 2 - ენერგონი	1,248,449	-	-
სარდაფის მომზადების ხარჯები	177,537	-	-
კონტეინერის დაზღვევის ხარჯები	792	-	-
DAB წევრების ხარჯები	76,156	-	-
„CARGO დაზღვევა CL0397/23“	2,000	-	-
	10,197,131	2,797,939	2,048,870

10 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ადმინისტრაციის ხელფასი	195,552	145,122	175,919
საპენსიო გადასახადი	15,634	8,621	5,447
ოფისის იჯარა	120,223	87,732	82,187
კომუნიკაციის ხარჯები	5,906	3,817	2,201
კომუნალური ხარჯები	-	1,162	1,515
ელექტროენერგიის ხარჯები	12,545	7,981	9,481
წყლის ხარჯები	1,015	1,312	1,493
დასუფთავების სერვისები	741	808	846
ავტომობილის დაზღვევა (GPI)	9,984	7,337	5,154
მივლინების ხარჯები	54,842	13,677	29,409
ბუღალტრული და იურიდიული მომსახურება	90,081	44,516	58,681
თარგმანის სერვისები	5,964	20,348	24,931
საკონსულტაციო მომსახურება	-	-	68
Outstaffing	38,400	49,204	12,053
საკვების ხარჯები	-	6,382	6,634
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	86,815	35,707	58,095
წარმომადგენლობითი ხარჯები	8,941	10,081	40,610
ბუნებრივი აირის ხარჯები	-	3,591	-
საგადასახადო ხარჯი	1,485	8,111	1,240
სანოტარო მომსახურება	173	-	-
	648,301	455,509	515,965

ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის ანგარიში

თურქული სააქციო საზოგადოების მიერ ენერჯი ვე მდენი
ინშააი იმლულის საქართველოს ფილიალი
31 დეკემბერი 2024 17

11 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

11.1 ვარაუდი ფუნქციონირებასთან დაკავშირებით

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას მენეჯმენტი აფასებს კომპანიის შესაძლებლობას გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე, ვინაიდან მენეჯმენტს არ აქვს არც განზრახვა და არც საჭიროება კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

11.2 მაკონტროლებელი ურთიერთობები

თურქული სააქციო საზოგადოების მითამ ენერჯი ვე მადენი ინშაათ იმლერის საქართველოს ფილიალი წარმოადგენს თურქული კომპანიის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში, რომელიც შექმნილი არის პროექტის ფარგლებში. შესაბამისად, კონტროლის ნაწილი სრულად არის თურქულ კომპანიაზე.

12 შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.